



სს „საქართველოს ბანკის“ წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობები (რეგლამენტი)

წამახალისებელი გათამაშება (შემდგომში „გათამაშება“) მოეწყობა სს „საქართველოს ბანკი“-ს (შემდგომში „საქართველოს ბანკი“) მიერ ს/კ 204378869, ნებართვის ნომერი N19-03/311 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გაგარინის ქუჩა 29ა.

1. გათამაშების მიზები

გათამაშების მოწყობის ძირითად მიზებს წარმოადგენს არსებული და პოტენციური მომხმარებლის წახალისება მიიღონ შრომითი ანაზღაურების თანხები მათ „საქართველოს ბანკში“ არსებულ საბანკო ანგარიშებზე.

2. გათამაშების მიზანი

გათამაშების ჩატარების მიზანია „საქართველოს ბანკის“ სახელფასო პროგრამის რეალიზაციის წახალისება. ასევე, ლოიალურობის ზრდა და ახალი მომხმარებლების მოზიდვა, რომლებსაც „საქართველოს ბანკში“ ჩაერიცხებათ შრომითი ანაზღაურების თანხები. პირს, ვისაც ჩაერიცხება შრომითი ანაზღაურების თანხები, „საქართველოს ბანკი“ შესაძლებლობას აძლევს, მოიგოს 6,250, 12,500, 25,000, 62,500 125,000 ლარიანი ფულადი პრიზები, რაც მოიცავს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს. (შესაბამისი ფულადი პრიზების ოდენობა საშემოსავლო გადასახადის გარეშე შეადგენს 5,000 ლარი, 10,000 ლარი, 20,000 ლარი, 50,000 ლარი და 100,000 ლარი)

3. გათამაშებაში მონაწილეობის აუცილებელი პირობა

გათამაშებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია, გათამაშების პერიოდში 18 წელს მიღწეული საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს „საქართველოს ბანკში“ ერიცხებოდეს შრომითი ან სხვა ფორმით დასაქმებასთან დაკავშირებული სხვა სახის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისთვის გადახდილი ანაზღაურება ან დასაქმებასთან დაკავშირებული სხვა თანხები (შემდგომში შრომითი ანაზღაურება) მიმდინარე ანგარიშზე

4. პროდუქციის / მომსახურების აღწერა

მოგეხსენებათ, რომ „საქართველოს ბანკი“ მომხმარებელს სთავაზობს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით საბანკო საქმიანობის ფარგლებში დადგენილ შემდეგ მომსახურებებს:

„ა) პროცენტის და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;

ბ) სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;

გ) საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;

დ) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;

ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);

ე¹) უპროცენტო საბანკო მომსახურება;

ვ) საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;

ზ) კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;

თ) ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;

ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;

ი¹) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა;

ი²) ქონების იჯარით გაცემა;

ი³) საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;

ი⁴) ქონების ლიზინგით გაცემა;

კ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.”

გათამაშება უკავშირდება „დ“ ქვეპუნქტში აღწერილ მომსახურებას, კერძოდ უნაღდო ანგარიშსწორების - პირის მიმდინარე ანგარიშზე ხელფასის დანიშნულებით თანხის ჩარიცხვის ოპერაციას, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია წინარე დოკუმენტში.

5. გათამაშების წესი

გათამაშებაში მონაწილე ბილეთების დათვლა მოხდება 2018 წლის 1 სექტემბრიდან - 2019 წლის 28 თებერვლის 23:59 საათის ჩათვლით დარიცხული შრომითი ანაზღაურების თანხების მიხედვით. გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება 2018 წლის 10 ოქტომბრიდან - 2019 წლის 11 მარტის 23:59 საათის ჩათვლით.

გათამაშების პერიოდში, ყოველ სამუშაო დღეს გაანალიზდება პირის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის დანიშნულება, ოდენობა და გადმომრიცხავის ვინაობა. თუ ჩარიცხული თანხა აკმაყოფილებს გათამაშების პირობას, კერძოდ თანხა ჩარიცხულია შრომითი ანაზღაურების საფუძვლით, გათამაშებაში მონაწილე ყოველ ჩარიცხულ 500 ლარზე დააგროვებს გათამაშების ერთ ბილეთს. ერთ კალენდარულ თვეში შესაძლებელია მაქსიმუმ 10 ბილეთის დაგროვება.

შრომის ანაზღაურების საფუძვლით თანხის ჩარიცხვა იდენტიფიცირდება საბანკო პროგრამაში შექმნილი შესაბამისი მოდულიდან, რომელიც აანალიზებს თანხის ჩარიცხვის დანიშნულებებს და გადმომრიცხავი პირს. თუ თანხის ჩარიცხვა აკმაყოფილებს გათამაშების პირობას, აგენერირებს ბილეთს და ბილეთის უნიკალურ ნომერს, ინკრემენტალური მეთოდით.

შრომით ანაზღაურებად ჩაითვლება თანხები, რომლებიც ჩარიცხული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი დანიშნულებით, ან დანიშნულებით, რომელიც შეიცავს ქვემოთ ჩამოთვლილი ასოების ან მსგავს კომბინაციას:

payrol	elfas	gasamrjel
SALAR	xelpas	shvebile
salary	XELFAS	Shvebile
Salary	XELPAS	biuletin
PAYROLL	Svebule	bonus
Salaries	sargo	premia
SALARIES	SromiT i xelS	dekret
danamat	Sromis anaz	avans
StatgareSe	kvebis kompens	

გათამაშება გაიმართება „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში, მისამართზე: **თბილისი, გაგარინის 29ა.**

გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება დოლურის პრინციპით: დოლურის დატრიალებით და შემთხვევითობის პრინციპით ბილეთის ამოღებით, შუალედური გათამაშებების საფუძველზე რამოდენიმე ეტაპად, შემდეგ თარიღებში:

1. 10 ოქტომბერი 2018 წელი 15:00 საათი: გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ბილეთები, რომელიც დაგროვილია 1 სექტემბრიდან - 30 სექტემბრის პერიოდში ჩარიცხული შრომითი ანაზღაურების თანხების შესაბამისად.

2. 12 ნოემბერი 2018 წელი 15:00 საათი: გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ბილეთები, რომლებიც დაგროვილია 1 სექტემბრიდან - 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში ჩარიცხული შრომითი ანაზღაურების თანხების შესაბამისად.

3. 10 დეკემბერი 2018 წელი 15:00 საათი: გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ბილეთები, რომლებიც დაგროვილია 1 სექტემბრიდან - 30 ნოემბრის პერიოდში ჩარიცხული შრომითი ანაზღაურების თანხების შესაბამისად.

4. 10 იანვარი 2019 წელი 15:00 საათი: გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ბილეთები, რომლებიც დაგროვილია 1 სექტემბრიდან - 31 დეკემბრის პერიოდში ჩარიცხული შრომითი ანაზღაურების თანხების შესაბამისად.

5. 11 თებერვალი 2019 წელი 15:00 საათი: გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ბილეთები, რომლებიც დაგროვილია 1 სექტემბრიდან - 31 იანვრის ჩათვლით პერიოდში ჩარიცხული შრომითი ანაზღაურების თანხების შესაბამისად.

6. 11 მარტი 2019 წელი 15:00 საათი: გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ბილეთები, რომლებიც დაგროვილია 1 სექტემბრიდან - 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდში ჩარიცხული შრომითი ანაზღაურების თანხების შესაბამისად.

გათამაშების ბილეთი მონაწილეობას იღებს ყველა მომდევნო შუალედურ გათამაშებაში. თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ, გაუთამაშებელი ბილეთი რჩება დოლურაში და ყოველი მომდევნო ეტაპის გათამაშების ბილეთები დაემატება დოლურაში დარჩენილ წინა ეტაპების ბილეთებს.

სრული გათამაშების პერიოდში, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული თვის 3 რიცხვისა, სტამბას გადაეცემა ინფორმაცია წინა კალენდარულ თვეში დაგენერირებული ბილეთების დასაბეჭდად, „საქართველოს ბანკსა“ და სტამბას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შეთანხმებული ფორმატით, კერძოდ, ელექტრონულად ექსელის ფაილით, სადაც მოცემული იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- გათამაშებაში მონაწილე პირის სახელი და გვარი;
- პირადი ნომერი;
- გათამაშებაში მონაწილე პირის ტელეფონის ნომერი;
- გათამაშებაში მონაწილე პირის ბილეთის ნომერი;

გათამაშების ყველა ეტაპისთვის ჯამში მოხდება 3 000 000 გათამაშების ბილეთის დაბეჭდვა, ნუმერაციით 0000001-დან 3,000,000 ჩათვლით.

ბილეთის უნიკალური ნომრის მინიჭება ხდება „საქართველოს ბანკის“ სისტემის მიერ ინკრემენტალურად და უნიკალურია გათამაშების პერიოდში. სტამბა უზრუნველყოფს ბილეთების დაბეჭდვას ბილეთის ნიმუშის და ფაილით მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად. გათამაშების ბილეთზე სტამბის მიერ მოხდება დამატებით ნომრის დატანა, რომელიც წარმოადგენს ბილეთის გაყალბებისგან დამცავ ნიშანს.

ბილეთი უნდა მოიცავდეს შემდეგ პარამეტრებს:

- ნებართვის მაძიებლის სახელწოდება მისამართი, ტელეფონის ნომერი;
- ბილეთის ნომერი;
- ბილეთის გაყალბებისგან დამცავი ნიშანი (სტამბის მიერ დატანილი ნომერი)
- გასაცემი ნებართვის ნომრის ადგილი;
- მომგებიანი თამაშობის ჩატარების ვადა და ადგილი;
- საპრიზო ფონდის გათამაშების თარიღი და დრო;
- თამაშობის ზოგადი წესი;
- მომგებიანი თამაშობის მოგების გაცემის ზღვრული ვადა და ადგილი
- ბილეთის მფლობელი პირის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი.

გათამაშების პერიოდში თამაშდება ფულადი პრიზები და თითოეული ბილეთისათვის პრიზის ოდენობა დგინდება რიგითობის პრინციპით:

1. შუალედური გათამაშება - 10 ოქტომბერი 2018 წელი
 - პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 6,250 ლარს;
 - მეშვიდე, მერვე და მეცხრე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 12,500 ლარს;
 - მეათე დამეთერთმეტე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 25,000 ლარს;
 - მეთორმეტე ბილეთი - ბილეთი იგებს 62,500 ლარს;

2. შუალედური გათამაშება - 12 ნოემბერი 2018 წელი
 - პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 6,250 ლარს;
 - მეშვიდე, მერვე და მეცხრე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 12,500 ლარს;
 - მეათე და მეთერთმეტე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 25,000 ლარს;
 - მეთორმეტე ბილეთი - ბილეთი იგებს 62,500 ლარს;

3. შუალედური გათამაშება - 10 დეკემბერი 2018 წელი

- პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 6,250 ლარს;
- მეშვიდე, მერვე და მეცხრე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 12,500 ლარს;
- მეათე და მეთერთმეტე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 25,000 ლარს;
- მეთორმეტე ბილეთი - ბილეთი იგებს 62,500 ლარს;

4. შუალედური გათამაშება - 10 იანვარი 2019 წელი

- პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 6,250 ლარს;
- მეშვიდე, მერვე და მეცხრე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 12,500 ლარს;
- მეათე და მეთერთმეტე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 25,000 ლარს;
- მეთორმეტე ბილეთი - ბილეთი იგებს 62,500 ლარს;

5. შუალედური გათამაშება - 11 თებერვალი 2019 წელი

- პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 6,250 ლარს;
- მეშვიდე, მერვე და მეცხრე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 12,500 ლარს;
- მეათე და მეთერთმეტე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 25,000 ლარს;
- მეთორმეტე ბილეთი - ბილეთი იგებს 62,500 ლარს;

6. შუალედური გათამაშება - 11 მარტი 2019 წელი

- პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 6,250 ლარს;
- მეშვიდე, მერვე და მეცხრე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 12,500 ლარს;
- მეათე და მეთერთმეტე ბილეთი - თითო ბილეთი იგებს 25,000 ლარს;
- მეთორმეტე ბილეთი - ბილეთი იგებს 125,000 ლარს;

*აღნიშნული საპრიზო თანხები მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, რომლის ბიუჯეტში გადახდას და შესაბამის ანგარიშგებას უზრუნველყოფს „საქართველოს ბანკი“.

გათამაშების წესები და პირობები გამოქვეყნდება ბანკის ვებგვერდზე <http://bankofgeorgia.ge/> და ასევე სპეციალურად გათამაშებისთვის შექმნილ პრომო ვებგვერდზე www.xelpasi.ge.

6. საპრიზო ფონდი

გათამაშების ჯამური საპრიზო ფონდი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, შეადგენს 1,187,500 ლარს.

7. ზოგადი წესები

გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც მიღწეულნი არიან 18 წელს. გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ „საქართველოს ბანკში“ დასაქმებულ პირებს (შრომითი ან დასაქმებასთან დაკავშირებული სხვა სახის ხელშეკრულებით). შესაბამისად ამ კატეგორიის პირები ავტომატურად არ წარმოადგენენ გათამაშების მონაწილეებს.

8. გათამაშების პროცედურა

გათამაშების პროცედურული საკითხების კონტროლისთვის შეიქმნება კომისია. კომისიის წევრების შემადგენლობა განისაზღვრება „საქართველოს ბანკის“ დირექტორატის ოქმით. „საქართველოს ბანკის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი უზრუნველყოფს გათამაშებაში მონაწილე ბილეთების შესახებ ინფორმაციის დამუშავებას. დასაბეჭდი ბილეთების შესახებ ინფორმაციის კონტროლს მოახდენს კომისია და დაადასტურებს შესაბამისი ოქმით. დაგენერირებული ბილეთების დაბეჭდვასა და გათამაშების ლოკაციამდე ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სტამბა, ხოლო ბილეთების დოლურაში განთავსების პროცესს დაეხმარება გათამაშების კომისია და გათამაშების შედეგები დადასტურდება ოქმით.

დოლურა გათამაშების პერიოდში განთავსებული იქნება „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში, გათამაშების პერიოდში დოლურასთვის გამოყოფილ შესაბამის ოთახში, რომელშიც დაცულია უსაფრთხოების წესები. გათამაშების პერიოდში დოლურა იქნება დალუქული, დოლურის დალუქვის და ლუქის მოხსნის პროცესს დაეხმარება კომისია და დადასტურდება შესაბამისი ოქმით. ლუქის მოხსნა განხორციელდება მხოლოდ ბილეთების დოლურაში მოთავსების და შუალედური გათამაშების პროცესში.

გამარჯვებული გამოვლინდება წინარე დოკუმენტის მე-5 პუნქტში აღწერილი გათამაშების წესის მიხედვით და ხდება მომხმარებელთან დაკავშირება საბანკო პროგრამაში დაფიქსირებულ მის საკონტაქტო ნომერზე.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდა მომხმარებელთან დაკავშირება, მოგებული თანხის ჩარიცხვა მაინც განხორციელდება „საქართველოს ბანკში“ მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე, ამავე რეგლამენტის მე-9 პუნქტში განსაზღვრულ ვადაში.

ყოველი გათამაშების შემდეგ კომისია შესაბამისი ოქმით დაადასტურებს გამარჯვებული ბილეთების და შესაბამისი პრიზების გათამაშების შესახებ ინფორმაციას. მოგებათა ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდება ბანკის ვებგვერდზე www.bankogeorgia.ge და გათამაშებისთვის შექმნილ პრომო გვერდზე www.xelpasi.ge გათამაშებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარულ დღეში. გათამაშების სრულად დასრულების შემდეგ მოხდება ბილეთების განადგურება.

9. გათამაშების პრიზების გაცემის ადგილი და პერიოდი

მოგებების გაცემის საერთო ვადაა გათამაშებიდან 30 კალენდარული დღე.

ვინაიდან გამარჯვებულს გათამაშების პრიზის მისაღებად არ უნევს „საქართველოს ბანკში“ მოსვლა, მოგებული თანხა გამარჯვებულს ჩაერიცხება გამარჯვებიდან არაუგვიანეს 6 კალენდარული დღისა, „საქართველოს ბანკში“ მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე.

10. პრეტენზიების განხილვის წესი და დავის გადაწყვეტა

გათამაშების ფარგლებში მონაწილის პრეტენზიები მიიღება არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში იმ შემთხვევის მომენტიდან, რომელთან დაკავშირებითაც მონაწილე გამოთქვამს პრეტენზიას. პრეტენზია მიიღება წერილობითი ფორმით „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში, მის.: ქ. თბილისი, გაგარინის ქუჩა 29ა. სამუშაო საათები - ყოველი სამუშაო დღის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. გადაწყვეტილებას მიღებულ პრეტენზიაზე „საქართველოს ბანკი“ მიიღებს პრეტენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა. „საქართველოს ბანკის“ პასუხისმგებლობა გათამაშებულ პრიზზე სრულდება შესაბამისი პრიზის მოგებული პირისთვის გადაცემის მომენტიდან. გათამაშებაში მონაწილე პირსა და „საქართველოს ბანკს“ შორის გათამაშებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეუთანხმებლობა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.